


K 3057
1



3.057

1



ბარაკვიონ ზაბიძე

მშობლიურად ჩემო შინაჲ

ფაბრიკა
1942


339.367-1
საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმოსავლელი
კავშირების
მინისტრო

გადაკვიონ ზაბიძე

გეოგრაფიკული რუკა მინაჰ

K3.057
1

ფედერაცია
19 თბილისი 42



მშობლიურ ჩემო მიწავ

სამი დიდი ოკეანე
გარე უვლის ნითელ მხარეს,
მთვარიანი და მზიანი
ზეცა აფრქვევს სიანკარეს.
ორ ზღვას შუა ძველის-ძველად
საომარი იყო ლელო.
ის გადარჩა-და სახელად
ეწოდება—საქართველო.
მშობლიურ ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ—
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
წინაპართა ძვლებს დავიცავ!
მიყვარს კავკასიის ქედი,
ეს ამერი და იმერი,
მისი „ხელი ხმალს იკარ“ და
მისი „მრავალ-წამიერი“.
მიყვარს, მრავალ ჭირნახული
ის გურია და სვანეთი
თუში, ფშავი და ხევსური,
აჭარა და თრიალეთი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ
 რომ დავიცავ შენს უფლებას,
 შენს უფლებას სისხლით ვიცავ!

აღმოსავლეთ-დასავლეთის
 გზა მიხვეულ-მოხვეული,
 ხმა მეგრული, აფხაზური,
 ლაზური და მოხეური.
 რამდენ ძარცვას, რამდენ რბევას,
 გადაურჩა ქართლ-კახეთი!
 შორით რაქა-ლეჩხუმია,
 ახლო მესხეთ-ჯავახეთი,
 მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ
 რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,
 შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

აგერ წინამძღვრიანთ-კარის
 ქარი არხევს ზვარის სამოსს
 და ხავერდი სავსე მთვარის
 მოჭფენია საგურამოს.
 მეცხრამეტე საუკუნე!
 გვეგებება ოხვრა კაკლის-

ახალგაზრდა გოლიათი
 ეხლა ავსებს ამ დანაკლისს
 მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ—
 რომ დავიცავ შენ სიმაღლეს,
 შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ:

დიდი გზებით მიდის ძველთა
 დიდება თუ დამარცხება.
 გადმოგვყურებს ზაჭესის მზე
 და არაგვიც არა ცხრება.
 მშობლიურო ჩემო მიწაი,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ—
 რომ დავიცავ შენს სინათლეს,
 სისხლით ნაპოვნ გზებს დავიცავ.

მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ
 მოკირწყლული იყო ძვლებით.

მოლაღადე უკეთესად,
 ვინემ უსახელო წლები.

იმ წარსულთან რა ძლიერი
 ანათებს აქ დროის თვალი,

რა რიგად სჩანს მშვენიერი
 საქართველოს მომავალი!

მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ.

რომ დავიცავ იმ მომავალს,
იმ მომავლის მზეს დავიცავ-

და-ხმალივით ბასრ იდეას
საქართველოს ახალ ხანის,
ჭგავდეს რკინის ნებისყოფა
თვითეული ჩვენთაგანის.

გამარჯვების გზებით მიდის.

თვითეული დღე ფრთამალი,
რომ არ სჩანდეს იმ წარსული
სიღუბჭიერის ნატამალი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,

შენს საყვარელ სახელს ვფიცავ
რომ დავიცავ შენს მიღწევებს—
შენი დროშის ფერს დავიცავ!

როსმე მეფე ფარნაოზი

იგონებდა ქართულ ანბანს
და წიგნები მოგვითხრობენ
გარდასულთა დროთა ამბავს.
მიყვარს ძველი წიგნების შლა,
მშვენიერი ძველი ენა.

სული ქართლის ცხოვრებისა,
რუსთაველის აღმაფრენა.

მშობლიურო ჩემო მიწავ,

შენს საყვარელ სახელს ვფიცავ

რომ დავიცავ უძველეს განძს,
იმ უძველეს წიგნს დავიცავ.

მიყვარს ძველი წიგნების შლა
მშვენიერი ძველი ენა.
კიდევ რაც ამ ოცი წელის
გაიშალა აღმაფრენა, —
რაც ამბავი მოფენილა,
რაც ამბავი აწყობილა —
სხვა — მეოცე საუკუნე —
არასოდეს არ ყოფილა.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ახალ გზებს,
შენს უახლეს წიგნს დავიცავ.

ეხლა ვერვინ ველარ გეტყვის,
საქართველო ნაწამებო,
იმერეთი ქართლს განუდგა,
საკუთარი სურს სამეფო.
ვერ წამოვა თემურ-ლენგის
იმნაირი ხმა და ზახი,
თბილისს ტახი რომ არბევდა —
ჯალალ-ედინ-ხორეზმ-შაჰი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მშვიდობას,
შენს გატანის ძარღვს დავიცავ.

ქარმა მიანგრ-მოანგრია
ძველი ქვეყნის საბუდარი—
და გვაქვს უბედნიერესი
ჩვენი მხარე—საკუთარი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ.

თუ მრავალგზის დანგრეული
დღეს ძლიერი გახდა მხარე
და მოედო სოფელს, ქალაქს
განახლების ნიაღვარი,
თუ გრიგალი მშენებლობის
ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს—
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს,
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

თუ, ბუნების მოკვდავ კაცებს
გვიერთდება ალტაცება,
გვეუბნება, გაგვიტაცებს
მომავალის დიდი მცნება
თუ ყოველი ახალი დღე—
ახალ სიმაგრეებს აგებს,
ეგ მისთვის, რომ ჩვენ, სტალინი
მუდამ წინ სვლას გვიქადაგებს.

ჩვენი ქვეყნის მომავალი
საგანია ჩვენი ზრუნვის,
შენ შესძელი დაფასება
ჩვენი მძლავრი საუკუნის,
გაიარე სევდის მგვრელი
გზათა სივრცე და საზღვარი,
გადალახე ღამე ბნელი
და ბურუსი ყოველგვარი.

მშობლიურო ჩემო მიწაე,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ!

თავდადებული მილიონები

სამშობლოსათვის
თავდადების
დრონი მეფობენ!
იგი გვეძახის
ბევრის მოწმე,
ბევრის მგონები.
სამშობლოსათვის
ოცნებობდნენ
და ოცნებობენ
ადამიანთა
პატროსანთ
მილიონები!
კავკასიონი
ლაქვარდების
მაღალ ცარცივით—
მზეზე ელვარებს
და ოცნებობს
თავის არწივით—
თან რგოლებს ხაზავს,

და ტრიალებს
 ამაყად, ფართოდ—
 ის მეომრის ფიქრს
 მოუწოდებს
 ცად სანავარდოდ.
 აიწევეს მაღლა,
 უფრო მაღლა,
 აჰა, ეშვება.
 კვლავ მილივლივებს,
 მაგრამ ღრუბლებს
 არ მოეშვება.
 დარწმუნებული
 სილალეში,
 სიძლიერეში,
 სწორია მისი
 ფრთის სიმშვიდე
 თუ იერიში.
 ქვევით ქვემეხთა
 გრიგალია.
 დასცხრენ სიონი—
 ქვეყნებს უსივრცოს
 გადასცქერის
 კავკასიონი.
 ზედავს: იბრძვიან
 მგზნებარენი

რწმენით და თითქმის
 თვითონ სიკვდილის
 სიმძაფრეში
 შთაქრილ გულისთქმის
 ძალით, სიციცხლით,
 გატაცებით
 მკლავით, გონებით—
 აღამიანთა
 მღელვარებენ
 მილიონები!
 ელვარებს ქურა.
 აქ მზადდება
 ისრები სხივის.
 აჩქარებული
 მონათება
 აღისფრად ღვივის.
 ძალას ედრება
 თვით ზესთაზეს
 ცეცხლში ლიტონი.
 გავარვარებულ
 აგვისტოს მზეს
 აგავს ლითონი.
 შეიმოსება,
 აზღვავდება
 რკინის კონებით

ადამიანთა

თავდადებული
მილიონები.

ცეცხლით, მახვილით
რკინით მქმედი,

მრავალის მგრძნობის,

ჩვენს სამშობლოში

სწყდება ბედი

კაცობრიობის.

აღსდგნენ მომხდურის

წინააღმდეგ

არა მონები —

სამშობლოსათვის

თავდადებულთ

მილიონები!

გლები ნამგალით

მკლავზე იწვენს

თავთავს მონაქუჩს.

გააფთრებული

სცემს მშრომელი

უმძიმეს ჩაქუჩს,

რომ მეომართა

გამოსქედოს

ხმალთა წკრიალი.

„მუსრი მტარვალებს“!

და ტანკების
 მიდის გრიალი.
 მოსიყვარულე
 ხმამალალი
 შმაფრი და მალი
 ბევიდან ხევზე
 მიგუგუნებს
 ძახილი: „სტალინ!“
 „სტალინ“—გაისმის
 და იგი ხმა
 უსაზღვრო ნების
 ხმაა ჭვეყნისთვის
 თავდადებული
 მილიონების!
 გმირებს ვერ ითვლის
 ჩვენი მხარე
 ურიცხვს და ულევს,
 ისინი ჰქმნიან
 რომ არ ჰქმნილა
 იმ სასწაულებს—
 ვზებს რომ ჰკათავენ
 ნარ-ეკლიანს
 ახშობენ ოდეს
 უნდობელ მტერთა
 ძალადობას
 და სიბოროტეს.

გმირი სიცოცხლეს
თვისას სწირავს
სამშობლოს მზიანს.

ვაშა გამბედავს,
ვაშა სულით
მძლავრ ადამიანს!

გზა ისტორიის
გულზე იწერს
გმირთა სიმარჯვეს

ვაშა და ვაშა!
ხალხის გულში
მათ გაიმარჯვეს.

ქებათა-ქება
მათი ქვეყნად
ჰქუხს, არ დაცხრება.

მათით რისხვასებრ
თავს დაატყდეს
მტერს დამარცხება.


მათთან არიან
მტარვალთათვის
შიშ-შთამგონები

მილიონები,
თავდადებულთ
მილიონები!

როგორც მაგალითს
 მსოფლიოსთვის
 უკვდავ მცნებისთვის,
 იდეალისთვის,
 მშვიდობისთვის—
 და უფლებისთვის,
 თქვენს სიმამაცეს,
 მეომრებო,
 დიდება, ქება!
 არტილერია,
 ტანკისტები,
 პარტიზანთ წყება,
 ქვეითი ჯარი,
 მშრომელები
 სწორედ ამ წამში
 გადადის
 ახალ შეტევაში,
 ახალ კამკამში.
 გაიმარჯვებენ
 გმირნი, რადგან
 ხიდი იდება—
 დაუძლეველი,
 გზას გვინათებს
 ქეშმარიტება!
 კვლავ განვიმსჯვალეთ

მოწოდების
დიადის ცნობით,
მეტის სიფხიზლის
სიყვარულის,
და ბრძოლის გრძნობით.
სამშობლოსათვის
თავდადების
დრონი მეფობენ!
იგი გვეძახის
ბევრის მოწმე,
ბევრის მგონები.
მოახლოვებულ
გამარჯვების
დიდებას გრძნობენ
ადამიანთა
პატიოსანთ
მილიონები!

K3.057
1



*
* *

ჩვენ ღარიბები ვიყავით მეტად,
 თქვენ მეტისმეტად უფრო ძლიერი.
 თქვენ არ დაზოგეთ ხერხი და ძალა
 ხან ცბიერი და ხან უდიერი.

ჩვენ ბევრი, ძლიერ ბევრი ვიტანჯეთ,
 ბევრჯერ სიკვდილის პირად ვიდექით.
 არ დაგმორჩილდით, ვიბრძოლეთ მარჯვედ,
 თავგანწირულად წინაღიდექით.

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
 იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს
 ხალხთა ძმობისა და მეგობრობის
 ურთიერთ რწმენით ურყევ საძირკველს.

თქვენი ქვეყანა კი ურთიერთი,
 ღრმა სიძულვილის ვულკანზე მდგარი;
 ქანაობს. რბევის მძვინვარე ღმერთი
 არის იმისი ბაირახტარი.

ჩვენ ახლა გავხდით უფრო მდიდარნი.
 უფრო ძლიერი. თქვენ ეს გაწუხებთ.
 თქვენ ის გაწუხებთ, რომ ჩვენი ჯარი
 თავდადებული სდგას მოპასუხედ.

სიმდიდრეები არა ზღაპრული
 ამბების ათას ერთი ლამისა,
 თქვენ სხვა სიმდიდრით ხართ დაზაფრული,
 ხალხი სხვანაირ დრო და ხანისა.

თქვენ იცით როგორ, რა ძალით სცემენ,
 აქ ჩვენი ნავთის შადრევანები,
 რა უღლევია ჩვენი შადანი,
 სპილენძის ბუდე, ოქროს ქანები.

ვით თამაშობენ ძვირფას ფერებით,
 ჩვენი მიწის ქვეშ ძვირფასი ქვები
 ყოფნა, აღსავსე ბედნიერებით,
 შრომათა ჩვენთა გამარჯვებები.

აურაცხელი შუქი კუზბასის,
 შუქი ვოლხოვის, დონბასის მხარე
 უდაბნოს ქვიშად მტევენები ვაზის,
 შუქდაბინდული და მოელვარე.

უზარმაზარი ყვავილი შლილა,
გიგანტიური ადგას კედარი,
სად ლამაზია ყოველი დილა,
სად დარაჯია ჩვენი მხედარი.

მდინარეები, რომ აგაფან ზღვებს,
ოქროთი რომ აქვთ ავსილი ფსკერი,
ჰაერი, მსგავსი რომ არა აქვთ სხვებს:
თავისუფლების სუფთა ჰაერი!

რევოლუციის ქარში, გრიგალში
დაბადებული ჩვენი არმია
გაკაყებული იცავს სამშობლოს,
და სამშობლო კი ის პლაცდარმია,

რომელსაც მოაქვს კაცობრიობის
თავისუფლება და გამარჯვება,
მას სიყვარული, მშობლიური გზით,
სტალინური გზით სვლა ემარჯვება!

ჩასაც სარაციანი წინაღ...

ჩასაც ბარბაროსი—წინაღ,
 ჩასაც სარაციანი—წინაღ,
 სიმამაცის საქმედ სთვლიდა
 თუ თავს სთვლიდა სარაციანად--
 რაბლემ მას უწოდა რბევა
 და მკვლელობის მხეცი ეინი,
 სხვას, რაბლესაც, ისტორიას
 ასე ესმის სარაციანი.
 მხეცი თავს თელის შეუმცდარად,
 ის გმირია, ის სწორია,
 და უძველეს სარაციანის
 მეორდება ისტორია.
 ბარბაროსი სისხლის მსმელი
 გონებასთან ჯიბრში მყოფი,
 ასეთია მოსულ მტერის
 მოზმანება ავადმყოფი.
 არ განიბნეს—არ იქნება—
 როგორც ქარის მწარე ძილი
 და ხსოვნაში ზიზღს გარეშე
 არ დარჩება სარაციანი.

რასაც ბარბაროსი—წინად,
რასაც სარაცინი—წინად,
სიმამაცის საქმედ სთვლიდა
ჩვენ ვთვლით რბევად და დაცინვად—
უნდა დაუპირისპირდეს
მკვლევებს—რისხვა სამყაროსი—
დეე, ბარბაროსობაში.
თვით შთაინთქას ბარბაროსი.

*
* *

აი აქ, ამ ქალაქისთვის
 გაიმართა დიდი ბრძოლა,
 დიდებული ქალაქია,
 მთელი ერთი ქვეყნის ტოლა.
 ხუროთმოძღვართ იგი წყალთა
 სარკეებზე აუგიათ,
 ხიდები გადუჭიმავთ
 და გრანიტი დაუგიათ.
 იცქირება იგი სახლთა
 მშვენიერი განრიგებით,
 იმუქრება თავის მძლავრი
 ქარხნებით და ფაბრიკებით.
 მრავალ ათასეულ მუშის
 და სწავლულის, სდგას ქალაქი,
 მას უმიზნებს საზარბრჭყალებს
 ველურ მტერთა ხროვაშმაგი.
 ტყე, მინდვრები, ჭაობები
 შეიღება ალისფერად
 და საზღვარზე წყალიც, ქებიც
 სასიკვდილოდ იქცა კერად.

ჰა, ზარბაზნით აგრიალდა
 თოვლიანი ტყე და ველი,
 ელვა გამსკდარ ყუმბარისა,
 ვით სიკვდილის ელავს ცელი.
 ყუმბარები ხეთქენ ჰაერს
 და ტყვიების ისმის სტვენა,
 აკაკანებს ტყვიამფრქვევებს
 ხეებიდან ტოტთა ფენა.
 ხმა საბრძოლო შეძახილის
 და ტკივილთა დაძახება,
 დაცემულთა ოხვრა, კვნესა
 და ჯავშნების დაჯახება.
 ხმას სატანჯო მოტორების
 ომი ითრევს დაძახული,
 გულცივია მხოლოდ ზეცა
 მშვიდი და სულგანაბული.
 გადალახვა საფრთხეების
 დედამიწას აღფრთოვანებს,
 ცეცხლი არტილერიისა
 უპასუხებს და ხმოვანებს.
 მედგრად ტყვიის და ყუმბარის
 მაყრუებელ სკდომის ხმაში
 საარაკო პირობებში
 ამ ცეცხლში და ამ ყინვაში—


უშიშარი მებრძოლები
 შეუმკრთალნი წყალთა ქაფით.
 საპონტონო ხიდს აგებენ
 ზღაპრულ ნებით და სისწრაფით.
 და ხიდზე ჩვენი ჯარი
 გადასცურდა როგორც ლავა,
 სქელი ნისლის თეთრი ორთქლი
 არე-მარეს მოეზღვავა.
 იგი ნისლი გასაოცრად
 აღიდებს და აჩენს საგნებს,
 როგორც კონა ცეცხლის ძნების,
 გიგანტიურ ტყეზე ლანდი
 კოლოსალურ მანქანების.
 და დევების მსგავს ხეების
 უეცარი ისმის ტყდომა,
 ითელება მავთულები,
 აქ რომ გაამწკრივა ომმა.
 მტერი მოდის, მტერი გვიტევს,
 თან ყველაფერს ანადგურებს,
 მშვიდობიან მაცხოვრებლებს
 სწყვეტს ბინას და სწვავს სადგურებს.
 სწვავს მის სარჩო-საბადებელს
 ანგრევს ქარხნებს და ფაბრიკებს,
 გადატრუსულ შენობების
 მხოლოდ ცხედრებს მოარიგებს.

სტოვეებს მხოლოდ სიბოროტით
 გადანაღმულ ქუჩა-სახლებს,
 მოწამლულ ქებს, მოწამლულ წყალს,
 რომელსაც პირს ვერვინ ახლებს,
 აქ ვერ ითვლი ბრძოლის წუთებს,
 საათს წლების თანასწორის
 და არაა განსხვავება
 აქ ლამესა და დღეს შორის.
 აქ ვაჟკაცი იფიწყებს ძილს
 და ამაოდ სასმელს აწვდით,
 იგი სუნთქავს, ცხოვრობს, მაგრამ
 ცხოვრობს მხოლოდ ბრძოლის განცდით.
 რატი! როგორ იბრძოდა ის!
 მასში ფეთქდა, როგორც ალი
 არა ქარი კავკასიის,
 არამედ თვით ქარიშხალი!
 მტერმა დაიხია, იგი
 გამოვიდა ტანკის კარით,
 გაიარა ბრძოლის ველზე
 ანგრეულზე ნაომარით.
 გარს დუმილი იღვა რაღაც
 უცხო, არაბუნებრივი.
 მასში თითქო დაცოცავდა
 დაჭრილების კვნესა ცივი.
 ვერ ითვლიდენ მტერთა გვამებს,

დაგროვებულს მთების ოდეს,
 ცხედრებს შორის საკაცენი
 ფრთხილად მიდი-მოდოდენ. .
 ყუმბარებით იყო ორმო
 ამოთხრილი, როგორც ძაბრი,
 მასში ერთად ჩაყრილიყო
 თვითმფრინავი, როსზე მძაფრი,
 და აჩა-იქ ყრია მუნჯი
 ტანკები და რკინა მკვდარი,
 საქურველი დამსხვრეული,
 იარაღი ყოველგვარი.
 ირგვლივ კაცის და ცხოველის
 ცხედრებისა იდგა მთები,
 ერთმანეთში არეული
 იყო სხეულთ ნაფლეთები.
 რატიმ ახლოს შეამჩნია
 ვილაც პირქვე დამხობილი,
 რომ ცდილობდა წამოდგომას
 კაცი, ცხედარს დაყრდნობილი.
 გაემართა სწრაფად მისკენ,
 სურდა რაიმეთი შეელა,
 მაგრამ იგი ფეხზე დადგა
 და რალაცას სთხოვდა ნელა.
 თითქოს იცნო, გაუღიმა,
 გაუშტერა თვალთა გუგა—

და მხურვალე მისალმებად
 რევოლვერმა დაიქუხა.
 ახ, დაასწრო. შემდეგ რატის
 არ ახსოვდა არაფერი —
 ვით დაეცა სხვა მეომრის
 მიერ გასრესილი მტერი.
 და მხოლოდ დღეს დაუბრუნდა
 რატის გრძნობა და გონება,
 რჩება! არას გზით არ უნდა
 დამარცხების გაგონება.
 მოდიოდენ ლენინგრადზე,
 იქ, ბრძოლებში იყო რატი,
 ეხლაც მტრისთვის მიუდგომლად
 დგას დიადი ლენინგრადი.
 აწ ვერაგი ფაშესტები
 უმზადებენ მაცდურ ბადეს,
 უზარმაზარ შენობების
 ახოვნებას უღიადესს.
 აი აქ, ამ ქალაქისთვის
 ეხლა მიდის დიდი ბრძოლა,
 დიდებული ქალაქია,
 მთელი ერთი ქვეყნის ტოლა.
 ხუროთმოძღვართ იგი წყალთა
 სარკვეებზე აუგიათ,
 ხიდები გადუჭიშავთ

და გრანიტი დაუგიათ.
 იცქირება იგი სახლთა
 მშვენიერი განრიგებით,
 იმუქრება თავის მძლავრი
 ქარხნებით და ფაბრიკებით.
 სდგას ქალაქი, სდგას განთქმული
 უდიდესი, ღრმა ძიებით,
 სახელოსნო მოვლენების,
 მბორგი რევოლუციებით.
 მრავალ ათასეულ მუშის
 და სწავლულის სდგას ქალაქი,
 მას უმიზნებს საზარ ბრკველებს
 ფაშისტების ხროვა შმაგი.
 სამშობლოსთვის, სტალინისთვის
 სხვებთან ერთად იბრძვის რატი...
 ლენინგრადი აღელვებს მას,
 მშვენიერი ლენინგრადი!



გაგულო სისოხელაო

სიცოცხლეო, მამულო! მძაფრი, არა-ფარული
 შეილთა შენთა ხმამალლა სთქვან შენი სიყვარული,
 სიცოცხლეო, სამშობლოვ! მტერი დაუნდობელი,
 რომ თვალს არ გაცილებდა—ვიყავ წინამგრძნობელი.
 აი, როგორ მოხდა ეს: ირიფრაჟა თუ არა—
 აღისფერმა სინათლემ ღრუბლებს გადაუარა.
 ტყეში, სადაც ვიდოდა ტყის მკაფიავი მცინარე,
 ველად, სადაც ბალებში ჩაფლულიყო მდინარე.
 იყო დილა-მშვიდობის და აო იყო ტკივილი,
 ფრინველების გაისმა სტვენა, ქვილ-ხივილი...
 აფრიალდნენ საზღვარზე შავზე-შავი სვავები.
 ყუმბარათმტყორცნელები, მძიმე თვითმფრინავები,
 სურთ რომ გადმოანგრიონ ხალხის ნახნავ-ნათესი,
 ქალაქები, სოფლები, გზები უღიადესი.
 იგი მტერი ჩვენი და მსოფლიოის მტერია,
 მაგრამ მის უგონობას ბედი არ უწერია.
 და ამაოდ ტანკები იძვრიან ყაჩაღებით,
 ჩვენ მას უძლიერესი ცეცხლით დავეჯახებით!
 რა კი მძლავრობს ხალხის ხმა და სტალინის გენია—
 ვიცით რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია.

მასთან ბრძოლა

როგორა სწოვს ცოცხალ ბაგეს
მახრჩობელი იგი ჩრდილი,
შეუშფოთდა მოჭალაქეს
სიცხადე და ღამის ძილი.

საზიზღარი! მისმა ჩრდილმა
დღე დაბინდა. მოსჩანს ზანტი
უბოლოო კინო-ფილმა, —
მიხაკისფერ დღეთა ღანდი.

საწამლავით ხელში მოსულს,
მას სიკვდილი მისდევს მხლებლად,
ომს აჩაღებს ბარბაროსულს,
ხალხს ეკვეთა საწამებლად.

უნდა გაჰქრეს სიმწრის ფერი,
მძიმე სულის მძიმე ქროლა.
ეხლა არის ყველაფერი —
მასთან ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა.

*
* *

არც სილაჟვარდუ
გამოჩნდა ზეცის,
არც განახლების
ქარის მოდება,
პიტლერი არის
აშკარა მხეცი,
სასიკვდილოდ რომ
არ გეცოდება!

რას უნდა შეხვდე
რომ გული დაღბეს,
გზად გამოშუქდეს
ნათელი სვეტი.
ვერ გადალეკავს
ამდენ სიყალბეს
ვერარა ძალა—
სიკვდილის მეტი!

ეს წელიწადი ახალი

ეს წელიწადი ახალი მოდის ქარიშხალხმიანი.
 მტერს სურდა ჩრდილით ჩაეხშო, რაც კი რომ არის მზიანი.
 მაგრამ გამირულად აღმართეთ სიმართლის დროშა მაღალი.
 ბევრ გამარჯვებას მოიტანს ეს წელიწადი ახალი.
 განვლიეთ იმნაირი გზა, ქვეყანას რომ არ სმენია.
 ჰქროდა ისეთი ალალი, ზღვიდან ზღვას რომ გასწვდენია.
 შარაზე ეგდო ყმაწვილი, აკენიდან გადანახალი,
 შურისძიებას იძახის ეს წელიწადი ახალი.
 აღმური ცასა და ხმელეთს კიდით კიდემდე ჰფენია,
 ოკეანემდე მისულა, კიდევს გადადენია.
 ბევრს უძლებს, ბევრსაც გაუძლებს, სამშობლო სდგას
 ქედმაღალი.)
 ახალ იმედით გვინათის ეს წელიწადი ახალი.
 სტალინის დროშით, მაღალით, სავსენი ზეშთაგონებით
 არწიენი, ვეფხენი ლომგულნი — მიდიან ლეგიონები.
 წინ, ამხანაგო, მტრის ურდოს ჰკარ, შეიპყარი, ჩაჰკალი!
 გლეჯდეს, მუსრავდეს მტრის ტანკებს ეს წელიწადი ახალი!

მზინაჲ

გასტელო, ქარმა დაბერა
 ქვეყანას რომ არ სმენია,
 ისეთ სიმაგრეს მიაწყდა
 ზღვიდან ზღვას რომ გასწვდენია.
 მოჭკრის ისეთი ალალი
 ცას რომ არ გაუჩენია.
 გაწითლდა ცა და ხმელეთი
 ცის კიდეს სისხლი ჰფენია,
 ოკეანემდე მისულა-
 კიდევს გადადენია,
 გადაულეკავს ნაპირი
 ყველგან აღმურის მჩენია,
 არასდროს ასეთი ფრენით,
 გასტელო, არ გიფრენია.
 სხვისი შენ არა გინდა რა,
 შენი რაც არის, შენია.
 დაჭკრიხარ კიდით-კიდემდე
 ცას ვარსკვლავები ჰფენია.
 ხედავ: მშობლიურ მწვერვალებს
 შუბლი ცას მიუბჯენია,

ძირს გაფენილა სამოთხე
დახედავ, იგრძნობ: ჩვენია!
არასდროს ასეთი ფრენით,
გასტელო, არ გიფრენია.
მტერი სწყვეტს ბავშვს და მოხუცებს
გულს მოედება გენია,
თავი რად გვინდა ცოცხალი...
განა ეს მოსათმენია?
გასწი, გასტელო, შენთვის მზე,
ვერ დასთვლი, რაოდენია—
შენს სიკვდილს მოაჭვს სიცოცხლე
და გამარჯვებაც ჩვენია!

ჩ ა ნ ბ რ ი

ჩანგო! ვით წინად, ეხლაც მოველი
 შენგან ახალ ხმებს. მზეა ცხოველი,
 საქართველოში, სადაც ნანატრი
 თავისუფლებით სუნთქავს ყოველი.
 რა სიცოცხლეა მხარეში, სადაც,
 ყოველივე წამს — რთულსა თუ სადას
 დაუღალავი განაგებს ხელი,
 რათა მოხაზულს გაუსწროს ვადას.
 რა სიცოცხლეა, შეიგრძნო რომა,
 აღფრთოვანებად აქცია დროშა
 მხარე, რომელსაც გაღვივებული
 აშუქებს შრომა და მხოლოდ შრომა.
 სხვა ქარი მოჰქრის ქვეყანით; ცბიერ,
 მონობის უღლით ნაცემით ძლიერ,
 ფეხზე დამდგარით და აღდგენილით,
 უღიადესი სიმართლის მიერ...
 სადაც მხატვრული გრძნობა წესია.
 სად ყველაფერზე უტკბოესია
 მეცნიერების დიადი გრძნობა,
 მშვენიერება და პოეზია.

ორათეულ წლით (მეტით) რომელიც,
თავდადებული, დაუცხრომელი,
სხვა რესპუბლიკებს მხარ და მხარ ედგას,
როგორც მებრძოლი, როგორც მშრომელი,
აი, ამ მხარეს, სადაც ოდესმე—
ერების შულღმა, უბოროტესმა
გააწამა და დაღრღნა ქვეყანა,
სანამ სხვა ბრძოლის ხმა არ მოგესმა
გაანგრია და ვიწრო საკანი, ან უბოლოო აქვს გასაქანი.
და გაქანება ხალხის, გენიის.
მრავალთა ზრუნვისარის საგანი,
სად ეჯიბრება სართულს სართული,
სდგას მეომარი ზრუნვით გართული,
იმისი ენა ქვეყნის ენაა,
და მშობლიური ენა—ქართული...
და დღეს როდესაც მტერი სდგას კარად,
და თავდაცვისა ტრიალებს ჯარა,
შენ შეგიძლია რომ არ აფლერდე? არასდროს!
არა, არა, და არა!

ძ მ ე ბ ო

ძმებო! მტერი ძლიერია —
ულმობელი — როგორც ზვაფი.
მაგრამ ყოველ ჩვენგანს ძალუძს —
გამოსცადოს თავის თავი.

ძმებო, მტერი სასტიკია,
მაგრამ სხვაა ჩვენი წყობა,
რათა თავის უძლეველი
გამოსცადოს ნებისყოფა.

ყინულოვან ოკეანით
შევ ზღვამდე დგას, როგორც ძმობა,
გრძნობა — დიდი და ტიტანი —
სამშობლოს დაცვის გრძნობა.

გრძნობა, რაიც სანუგეშოს
წამებაშიც ჰპოებს ჯილდოს,
გრძნობა, რასაც ძალუძს მტერი
დამარცხებით გადაშვილდოს.

დიდი გრძნობა, მტკიცე გრძნობა —
მიაჩნია უკვდავ შვებათ,
თვით სიკვდილი რომ აქციოს —
სწორუპოვარ გამარჯვებათ.

*
*
*

ქვეყნად ბევრი არმიია
 სულ სხვადასხვა ფერია:
 ზოგან ლურჯი, ზოგან თეთრი
 ზოგან ყორნის ფერია.
 ნისლში მიდის, გზას ვერ იკვლევს
 ხეობებს ვერ ეგნება.
 რისთვის იბრძვის, რესთვის მომბს
 არ აქვს ამის შეგნება.
 შეუგნებელ კაცის ბრძოლას
 მადლი როდი ექნება,
 თუმც საშარის ბევრი სველი
 მიწა გადიბეკნება.
 ნამდვილად კი მათ დროშაზე
 მასის ჩაგვრა სწერია.
 თავიდანვე ამ არმიას
 ბედი არ უწერია.
 ჩვენი ჯარი ძლიერია,
 მაგრამ სხვა სიძლიერით.

შეგნებული დისციპლინით,
შეგნებული იერით,
იცის რომელ მხარეს იცავს,
იცავს სისხლით, იარით.
მტკიცედ ესმის დავალება
მხარის შრომის მიერით!
ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლებში მაგარი,
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი!

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

სამშობლოს წინსვლა
 გასაკვირველი,
 მზის მხურვალეობა
 გარს რომ ავლია,
 აი პირველი,
 აი პირველი,
 რის სიყვარულიც
 მე მისწავლია.
 შენს გამარჯვებას.
 ჩანგო, მოველი,
 ოპ, შენთან დღენი
 ჩემნი წარვლიან,
 მედგარი ბრძოლა,
 აი ყოველი,
 რის სიყვარულიც
 მე მისწავლია,
 გავშლი უმძიმეს
 ლექსების კონებს:
 რა სიუხვეა,
 რა სიმრავლეა!
 გადამასწავლოს —
 ნურავინ ჰგონებს —
 რის სიყვარულიც
 მე მისწავლია!

ქ ი ლ ი ა ზ ი ა

დიდო არმია! არის შენი მედგარი მხარი
ჩვენი სამშობლო მხარის მარჯვე ხმალი და ფარი!

მებრძოლმა ჩვენის ველის, ჩვენის მთისა და გორის
დიდმა სტალინმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!

იყოს ერთისთვის ყველა და ყველასათვის ერთი.
რომ მიაღწევდეს ბურუსს გაკაფებული მკერდი!

ვერავენ დაამარცხოს მგრძნობი მიზანის სწორის,
მარად ჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!

კავშირი გულთა შორის, როცა გულს იცნობს გული,
რაა ამაზე უფრო მშვენიერი და სრული?

გზა გვქონდეს გამარჯვების არა ერთის და ორის,
ყველაფერს გადალაზავს კავშირი გულთა შორის.

ძველო ასპინძის ველო, ძველო ციხეო გორის,
მკერდით გიცავდათ მძლავრი კავშირი გულთა შორის.

მარად სიცოცხლეს უდგა და ისტორიის მდორის
ამფეთქებელი იყო კავშირი გულთა შორის.

მტერი მტარვალის ტვინის, მტერი მტარვალის ტორის,
იყო, არის და იქნეს კავშირი გულთა შორის!

უძლეველია ციხე, ბუდე ორბის და ქორის,
რაიც ააგო დიდმა კავშირმა გულთა შორის.

დიდო არმია! მძლეა ფიცი ტოლის და სწორის,
კავშირი გულთა შორის! კავშირი გულთა შორის!

ბაყაყი. მსგავსი დღეაროკისა

მაშინაც, როცა
 ქანდაკებები
 ხეზე შებუღრულს
 გვანან ტიკინებს,—
 ბაყაყი, მსგავსი
 დღეაროკისა
 ვერსაღთან წყალში
 ასე ყოყინებს:
 ვერ მოიბზარი,
 რას დაემსგავსა
 ჩემი სამშობლო,
 ჩემი კაობი,
 ერთ დროს განთქმული.
 აბრეშუმეფით
 ნაზი, ყვითელი
 სანახაობით.
 სადაა ხავსის
 სველი ხავერდი,
 მასში ჩამბალი

შამბის ლეროთი,
მორზე წყნარად რომ
დაგეყრდნობოდი
და უდარდელი
ჰანგით ვმღეროდი.
მთვარე რომ ღრუბლით
მოაშუქებდა,
დაიქროლებდა
შორით ბორიო,
ჩვენი კონცერტიც
იქ იყო მაშინ,
უკვდავი რამე,
საისტორიო.
და შმორი, შმორი,
შმორი ისეთი
ნაზი, მსუბუქად
დამათრობელი
დაღლილ მიდამოს
ეფინებოდა,
როგორც თავის შვილს
დედა მშობელი.
როს კოლოები
ჩვენი კაობის
გაიშლებოდენ
მინდორ-ველებად

ან მთელ პარლამენტს
მოედებოდნენ
ციებ-ცხელების
საშინელებად.
თქვენ, ბაყაყებო,
ნეტა რად სდუმხართ,
ხმას რად არ იღებთ
მაინც, ნეტავი?
გამოსთქვით თქვენი
გულის ნაგრძნობი.
დროა! გაბედეთ
გასაბედავი.
მართებს თუ არა
აქ რომელიმეს
ურჯევ ბედის წინ
თავი დახაროს.
გაშალოს თვალწინ
ახალი ფრონტი,
ჩვენ აგვიკლოს და
სხვა გაახაროს.
— არასდროს! — ისმის
სხვათა პასუხი, —
რისი გაშლა და
რისი თაყვანი.
და ბაყაყების

ყოველი მხრიდან
აუტანელი
ატყდა ყაყანი.
— გასწი! — შეესძახე
მაშინვე შოფერს —
თითქო სთვლემ
მთელი წელიწადია.
არ დაგვეწიოს
ციება, თორემ
სულს ამოგვართმევს
ცხადზე ცხადია!

მკი ქალა

მზე ჩადიოდა
 და აქ კი წვიმად
 იწოდა ვარდი,
 ღრუბლების მსგავსად
 გადაქცეული,
 მრავალფერ სიმიად
 ცისარტყელების
 მშვენიერ ხაფსად.

ყველა საომრად
 გავიდეთ რომა
 მძლეთ შთავისუნთქოთ
 მომავლის ზეცა,
 რომ სიმღერებად
 ვაქციოთ შრომა,
 რამაც სიცოცხლე
 გაგვიორკეცა.

იტოდეს ყველამ,
რომ ორი ძალა
ადგას ამ არეს
და ყოველს ხედავს.
ერთი მზე—ცოცხალ
სოფელს და ქალაქს,
მეორე—მკვდარი
წარსულის ცხედარს!

ქრიზისისაგან თავის დახნავა

ის კრიზისიდან თავის დაღწევას
იმპერიალისტურ ომებით ფიქრობს,
თვალს არ აშორებს საშინელ მიკრობს,
მითი მსოფლიოს ფიქრობს წაქცევას.

დრომ დაჰკრა და გული ამოწვა,
რას დაეუფლები?
მრისხანე ღრუბლები ჩამოწვა,
მრისხანე ღრუბლები!

ყოველი ჩარჩის და არამზადის
სახსარია თუ შესაძლებლობა,
უნდება მხოლოდ ომის სამზადისს
და სამზადისის ლაფში ეფლობა.

გაისმის ზარის ხმა და ლოცვა
ფაშისტურ შუბლებით.
მრისხანე ღრუბლები ჩამოწვა,
მრისხანე ღრუბლები!

მაგრამ მძლე ომის საშიშროების
 გაზრდასთან ერთად იღვიძებს კლასი,—
 მუშათა რაზმი ათას-ათასი,
 მტერი ომისთვის ქმნილ მყუდროების.

ღრო მოვა და როცა
 გაბედვენ წურბლები—
 იგრძნობენ: ღრუბლები ჩამოწვა,
 მრისხანე ღრუბლები!

და მღელვარე ხმა მრისხ ნედ ისმის:
 ფაშიზმის დროშა, ძირს, საზიზლარი!
 იგი ომია, ძირს, მოსისხარი,
 ძირს ეს ბინძური დროშა ფაშიზმის.

რა ჟღერა დადგება, რა ხოცვა
 რა თავისუფლებით—
 მრისხანე ღრუბლები ჩამოწვა,
 მრისხანე ღრუბლები!

და ყველა ხმებში ყველაზე უფრო
 ერთი ხმა არის. ძლიერი წყნარად
 ეს: ჩვენი. ქვეყნის ხმა სასაუბრო,
 დაუძლეველი მარად და მარად.

ღრო არის მგზავრები ჩამოსვა
 ამინდთ ალუბლებით.
 მრისხანე ღრუბლები ჩამოწვა,
 მრისხანე ღრუბლები!

მე გამოვშორდი ავადმყოფ მხარეს

მე გამოვშორდი
 ავადმყოფ მხარეს,
 იქ უსიცოცხლო
 ფოთლების ფენას,
 კონკლაგერების
 დღეებს მწუხარეს
 მიხაკისფერი
 დღეების დენას.

იქ ხალხი მარხავს
 პირველ სიყვარულს,
 პირველ ვარდებით
 წვიმით და მეხით.
 ციხიდან ცდილობს
 გამოსვლას ფარულს
 და საზღვარგარედ
 გაქცევას ფეხით.

შენ მოდიოდი.
 სიცოცხლე შენი

ს ა რ ჩ ე ვ ი

მშობლიურთ ჩემთ მიწავ	3 .
თავდადებული მილიონები	10 .
* * * (ჩვენ ღარიბები ვიყავით მეტად)	18 .
რასაც სარაციანი წინად	21 .
* * * (აი აკ, ამ ქალაქისთვის)	23 .
მამულთ სიცოცხლე	30 .
მასთან ბრძოლა	31 .
* * * (არც სილაგვარდე)	32 .
წელიწადი ახალი	33 .
მფრინავი	34 .
ჩანგო	36 .
ძმებო	38 .
* * * (ქვეყნად ბევრი არმიაა)	39 .
სამშობლოს	41 .
დიდი არმია	42 .
ბაყაყი მსგავსი დელაროკისა	44 .
ორი ძალა	48 .
კრიზისისაგან თავის დახწვევა	50 .
მე გამოვეშორდი ავადმყოფ მზარეს	52 .
ირაკლის ზმალი	54 .

პარლამენტის პრეზენტი ბიბლიოთეკა



K 3.057/1